# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ორშაბათი, 20 მარტი 1900 წ. № 1077

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—14)

## ახალი ამბავი

✦ ტფილისში ცნობა მოვიდა, რომ 27 თებერვალს კავკავში გარდაიცვალა **მანადორა ბირშერტისა** (დოდაშვილის ასული). ქართველი საზოგადოება კარგათ იცნობს განსვენებულს მოღვაწეს, რომელმაც ჩვენის ცნობილის მოღვაწეს, აწ გარდაცვალებულის, მიხეილ ყიფიანთან ერთად დააარსა კავკავში საქველ-მოქმედო საზოგადოება და შემდეგ ქართული სკოლა.

✦ გუშინ, 19 მარტს, მოხდა **ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება.** კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წარსული წლის ანგარიში, რომლიდანაც, სხვათა შორის, სჩანს შემდეგი: 1900 წლის 1-ლ იანვრისთვის საზოგადოებაში ითვლებოდა 1461 წევრი თანხით 1.300.480 მან.; საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების საერთო შემოსავალ-გასავალი იყო 161.061.574 მან. და 60 კაპ., წინა წლისაზე 25.601.462 მან. და 34 კაპ. მეტი. წლის განმავლობაში გამოსყიდულ იქმნა 9853 თამასუქი 8.466.215 მანეთისა და 98 კაპ.; დროზედ იქმნა შემოტანილი 10.035 თამასუქისა 8.419.278 მან. 10 კაპ.. საანგარიშო წელს გაიცა 879 სესხი—1.621.014 მანეთისა პროცენტიან ქაღალდების გირაოთი; გამოსყიდულ იქმნა 796 სესხი—1.319.552 მ.. წმინდა შემოსავალი საანგარიშო წლისა—149.935 მან. 66 კაპ. შემდეგ დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა—51.300 მან.. კრებამ ერთხმად მოუმატა ჯამაგირი საზოგადოების გამგეს ბ. იოანნესიანს—7000 მანათამდე. შემდეგ არჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისიაში: ბ.ბ. ოპოჩინინი, ტერ-მიქელოვი, ხოჯაევი, კანდურალოვი, ტერ-აკოფოვი, ლავროვი და მელქუმოვი.

✦ „ტფილისის ფურცელს" ქ. გროზნოდან დეპეშით ატყობინებენ: „აქ მოვიდა დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ გროზნოდან 15 ვერსის სიშორეზე, ალხან-იურტის ნახევარ სადგურთან (ვლადიკავკავის რკინის გზა), 18 მარტს, ღამით, მოხდა **საშინელი უბედურება:** მგზავრთა მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს; რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა. მრავალი მგზავრი დაშავდა. მოკლულია 20 კაცამდე; დაჭრილთა რიცხვი მეტია. მოკლულთა შორის ოთხი ფოსტის მოხელეა და ორი ფოსტალიონი. სიბნელის გამო მნადვილად ჯერ არ იციან—რამდენია დაშავებულთა რიცხვი, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ზევით არის აღნიშნული".

✦ **ადგილ-მამულის გადასახადის** გაწერა—განაწილების დროს ტფილისის საგუბერნიო მმართველობაში აღიძრა საკითხი, მიეწეროს თუ არა გადასახადი იმ მამულს, რომელიც ზომით ერთ დესეტინაზე ნაკლებია. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ტფილისის გუბერნიაში 100 დესეტინაზე მეტი განთავისუფლებულ იქმნება გარდასახადისაგან.

✦ გუშინ, 18 მარტს, ვაკეთა ტფილისის მეორე გიმნაზიისა და ქალთა მეორე გიმნაზიის მოსწავლეთათვის გამართეს **ხის დარგვის დღესასწაული.** მოსწავლეებმა ორასამდე სხვა-და-სხვა ხეხილის ხეები დარგეს მუშტაიდში.

✦ რვა მარტიდან ხუთმეტამდის ტფილისში სავაჭრო მოედანზე **მოურეკიათ** გასასყიდად სხვა-და-სხვა გუბერნიებიდან და მაზრებიდან **მსხვილ-ფეხა საქონელი** 823 სული, რომელთა შორის ხარია 656, ძროხა 56, კვებულა (ერთი წლიდან $1\frac{1}{2}$) 31, ხარ-კამბეჩი—63 და ფურ-კამბეჩი—17.

ახალქალაქის მაზრიდან შემოსულა:—107 ხარი, 6 ძროხა, 2 კვებულა, 1 ხარ-კამბეჩი და 2 ფურ-კამბეჩი, ბორჩალოს მაზრიდან:—140 ხარი, 26 ძროხა, 11 კვებულა, 20 ხარ-კამბეჩი და 3 ფურ-კამბეჩი; გორის მაზრიდან:—6 ხარი და 9 ხარ-კამბეჩი; დუშეთის მაზრიდან:—5 ხარი, 3 ხარ-კამბეჩი და 2 ფურ-კამბეჩი; სიღნაღის მაზრიდან—1 ხარ-კამბეჩი; თიონეთის მაზრიდან:—7 ხარი, 2 ძროხა, 1 ხარ-კამბეჩი და 2 ფურ-კამბეჩი; ტფილისის მაზრიდან—26 ხარი, 13 ძროხა, 18 კვებულა, 21 ხარ-კამბეჩი და 8 ფურ-კამბეჩი; ზაქათალის ოლქიდან—12 ხარი და 3 ძროხა; ერევნის გუბერნიიდან—57 ხარი და 4 კვებულა; განჯის გუბერნიიდან—2 ხარი, 5 ძროხა, 6 კვებულა და 7 ხარ-კამბეჩი; რუსეთიდან—231 ხარი და 1 ძროხა.

✦ ქალაქის **წყლის მილს** ისევ გაუწყრა ღმერთი: ვერაზე ეს მეორე დღეა წყალი აღარ არის, ვინ იცის რა მიზეზისა გამო!..

## დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან").

**18 მარტი**

**პეტერბურგი.** 18 მარტს მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ზარაფხანა.

18 მარტს ხელმწიფა იმპერატრიცამ დაათვალიერა გრაფინია კლეინმიხელის სახელობაზე დაარსებული სკოლა პატრიოტულის საზოგადოებისა.

**ბლუმფონტეინი.** პარრთან შეტაკების დროს ბურები სამი საათის განმავლობაში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ინგლისელებს. მათ გორაკზე დადგეს ვიკერს მაქსიმის სისტემის ზარბაზანი და მარჯვედ ესროდნენ მტერს. ინგლისის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა შემდეგ ბურების ჯარების შუაგულზე. რამდენიმე კაცი ტყვედ არის წაყვანილი. ცხენოსანმა ჯარმა ორთავე ჩხრიდან მოუარეს ბურებს. ბოლოს ბურებმა უკან დაიწიეს; თან წაიყვანეს მოკლულები და დაჭრილები. ინგლისელებს უჭირავთ ეხლა მშვენიერი, ბუნებით გამაგრებული, პოზიცია.

**ბრანტფორტი.** ზოგიერთს აქაურს ფერმერებს ბურების მხარე უჭირავთ: ფერმებში დაუტოვებიათ ცოლშვილი იმ იმედით, რომ ინგლისელები მათ ხელს არ ახლებენ.

**კაპშტადტი.** ბარკლივესტიდან მოსული დეპეშა იტყობინება, რომ ბურები ჯერ ისევ მოქმედებენ ამ ოლქში. ისინი დაბანაკდნენ ბეტსოსთან და აგრეთვე ვინძორტონის ახლო როსიდომთან და კოლლინბიკთან. ორას კაცისაგან შემდგარი რაზმი წავიდა სამშაბათს ბუტცანისა და კოოპმონსფონტენისაკენ.

**ლონდონი.** „მორნინგ პოსტ"-ს ბლუმფონტენიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ კიტჩენერი გუშინ ღამ თავის შტაბით და 300 კაცისაგან შემდგარი რაზმით გადავიდა ნორვალსპონტის ხიდზე. კიტჩინერი იმ აზრის არის, რომ ამბოხება უკვე მოისპო.

**რომი.** პალატის პრეზიდენტებმა სამსახურს თავი დაანებეს, და ორშაბათს მოხდება ახალი არჩევნები.

**მადრიდი.** რადგანაც უმცირესობასთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ ფინანსთა მინისტრმა უკანვე წაიღო თავის პროექტი ალკოგოლის შესახებ.

**ლონდონი.** პალატა. საადმინისტრაციო უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს ჟოზეფ ჩემბერლენი შეეხო ინგლისის ვაჭრობის მდგომარეობას ჩინეთში და უსაყვედურა მთავრობას, რომ იგი ნაკლებად მეცადინეობს ინგლისის ინტერესების დაცვისთვის. ეხლა

მოხერხებული დროა ჩინეთში ადმინისტრატიული რეფორმების მოსახდენად. ინგლისს რომ გერმანიასთან, ამერიკასთან და იაპონიასთან ერთად ემოქმედნა, არც რუსეთი და საფრანგეთი ;დადგებოდნენ განზე ლორდი ბალკარესი ეთანხმება ორატორს, რომ ინგლისის გავლენა ჩინეთში ჩამორჩა რუსეთის გავლენას. მას იმედი აქვს, რომ მთავრობა მტკიცედ აღნიშნავს და დაიცავს ინგლისის ინტერესებს. ბროდრიკი უპასუხებს, რომ ინგლისი არავის ჩამორჩენია ჩინეთში რკინის გზების გაყვანის საქმეში. არ შეიძლება მეტის-მეტი შეწუხება ჩინეთისა, რომელშიაც ინგლისელებს განზრახვა აქეთ მადნების მუშაობას შეუდგნენ. მაგდონალდი ურჩევს მთავრობას მიიღოს ზომები ჩინეთის მდინარეებზე გემების მიმოსვლის გაადვილებისათვის. არც ერთ საქმეში ინგლისს;უკანასკნელ წლებში უკან არ დაუწევია და არსად ინგლისის სახელი და ინტერესები არ შელახულა. მთავრობა ხელმძღვანელობს იმავე პრინციპებით, როგორც წინედ და სრულიადაც არ ჰსურს გააფართოვოს თავისი სამფლობელო ჩინეთში; ის აქცევს ყურადღებას მხოლოდ ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საქმეს ჩინეთში. მთავრობა შეუერთდება სხვა სახელმწიფოებს, რათა მოითხოვოს ჩინეთისაგან საჭირო უპირატესობა, რომელიც ჩინეთმა უნდა მისცეს ევროპიელთ თავისავე ინტერესების დაცვისათვის. გრეი იმ აზრის არის, რომ ბრიტანიის გავლენა ჩინეთში ძალიან შესუსტდა სხვა სახელმწიფოებთან გავლენის შედარებით, უმეტესად რუსეთის. ორატორი სიამოვნებას აცხადებს იმ ნაბიჯის გამო, რომელიც გადადგა შეერთებულმა შტატებმა. ამის შემდეგ საკითხი გარჩეულად ჩაითვალა.

**სანზრიბარი.** იორკის ჰერცოგინია ძეობისაგან განთავისუფლდა; მას ვაჟი ეყოლა.

**მასსერუ.** პლადბერგში მდგომი ბურების ჯარები გაძლიერებულ იქმნენ. ბაზუტოსთა მთავრობამ შეკრიბა ათასამდე მუშა ბლუმფონტენში მდგომ ინგლისელებისათვის. ბრიტანიის წარმომადგენელი ბაზუტლანდში ნებას არ აძლევს მუშებს წავიდნენ ბლუმფონტენისაკენ, რადგანაც შიშია, რომ ისინი ხელში ჩაუვარდებიან მტერს.

17 მარტი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო გაზეთ „რუსკი ლისტოკ“-ის ცალ-ცალკე ნომრებად გაყიდვასა.

**ხაბაროვსკი.** 14 მარტს აკურთხეს მდ. სენეგაზე გაკეთებული ხიდი; ამნაირად გაიხსნა იმიერბაიკალის რკინის გზა ბაიკალიდან სრეტენსკამდე.

**ტიანტძინი.** ტაკუს მოვიდნენ ინგლისის გემები „Brisk“ და „Hermione“.

**კონსტანტინეპოლი.** ილდისკიოსკის მდივნის ქიამილ-ბეის დატუსაღების ამბავი ტყუილია.

**პარიზი.** გალიფემ გამოუცხადა კომისიას, რომ, მისის აზრით, სანამ სამხედრო ბეგარა 2 წლამდის იქმნება შემცირებული, უნდა გამოიცეს კანონი, რომ მთავრობას შეუძლიან დაიქირაოს მსურველები სამხედრო სამსახურისათვის.

**ოდესა.** ბოლგარიის სამხედრო მინისტრი წავიდა პეტერბურგს.

**კავკაზი.** გროზნოს და ალხანიურტის სადგურებს შუა საფოსტო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. ცეცხლი წაეკიდა ცისტერნებს; მოკლულ იქმნენ მაშინისტები და ფოსტის მოხელე. უბედურებამ ბევრი იმსხვერპლა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდან: „აქ მოსული ცნობებიდან სჩანს, რომ მტერმა თავი დაანება ბრონდფორტს და ჩრდილოეთისაკენ გაემართა. გუშინდელ ბრძოლაში იმათ გარდა, რომელთ შესახებ უკვე იყო ცნობები, მოკლულ იქმნა 2 ოფიცერი და დაჭრილი 8. ჯარის კაცთაგან მოკლულ იქმნა 19 და დაჭრილი—159. სამი უგზო-უკვლოდ დაიკარგა“.

საღამოს გაზეთებს ბლუმფონტენიდან ატყობინებენ, რომ ბრძოლა, რომელიც 16 მარტს მოხდა ბრანდფორტთან, დაიწყო დილის 11 საათზე და დასრულდა დაღამებისას. ბურების სარდალმა გაგზავნა 6000 კაცი ბრანდფორტის დასაცველად. ამ ჯარმა დაიკავა გორაკები ბრანდფორტის სამხრეთით. ინგლისელებსაც და ბურებსაც ბევრი ჰყავთ მოკლულ-დაჭრილნი. როგორც სჩანს, ბრძოლაში ბურების ყველა რაზმებს არ მიუღიათ მონაწილეობა. იბრძოდა მხოლოთ 2000—3000 ჯარი.

**პრეტორია.** უცხოელთა კონსულებს ოფიციალურად შეატყობინეს, რომ მთავრობას აზრად არ ჰქონია ოქროს მადნების აოხრება და მას არც მიუღია ამგვარი გარდაწყვეტილება.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**ორშაბათი.** 20 მარტი; ახალი სტილით 2 აპრილი წლის დასრულებამდე დარჩა 286 დღე. მთვარის მე-4 დღე. ოც-და-მეცხრე დღე. დიდი მარხვისა. ხსენება ღირსისა იოანნესი, სერგისა, პატრიკისა და სხვათა.

**სამშაბათი, 21 მარტი;** ახლი სტილით 3 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 285 დღე. მთვარის მე-5 დღე. დიდი მარხვის ოც-და-მეათე დღე. ხსენება ღირსისა იაკობისა, კირილესი და თომასი.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

## ნ ი ხ ი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | გ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | გ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | გ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | გ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | გ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | გ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | გ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჭკ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

## ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—[illegible]—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-[illegible] 34 მან., შესაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიცოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა, ალექსანდროვის** ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონ ნას ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო. იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სნეით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

გამომც. გ. ბუნია